

უნდა მდებარეობდეს ნიადაგის ზედაპირიდან. ამგვარად მოთავსებულ ნერგს ეყრება ნაკელნარევი მინა და იტკუნება, შემდეგ ორმო პირამდე ივსება, იტკუნება და ბოლოს ნერგს ფხვიერი მინით უკეთდება კოკოლა-მინაყრილი, რომლის სიმაღლე შემოდგომით დარგვისას უნდა უყოს 10-12 სმ, ხოლო გაზაფხულზე 6-8 სმ. დარგვის შემდეგ უკეთებენ ჭიკოს და რწყავენ.

მოვლათი დონისძიებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია – გასხვლა, რომლის საუკეთესო დროა გაზაფხული-წვეთა მოძრაობის დაწყებამდე. გასხვლის პირველ წელს ძლიერ ვაზზე უნდა შეირჩეს რქა, რომელიც შტამბის სიმაღლეზე უნდა გაისხვლას და ვერტიკალურად აიკრას სარზე შპალერის პირველ მავთულამდე, მეორე გასხვლისას ვაზზე შეირჩევა ორი რქა, რომელთაგან ქვედა ორ კვირტზე სამამულედ უნდა გაისხვლას, ზედა 8-9 კვირტზე სანაყოფედ და პირველ მავთულზე მიეკრას პორიზონტალურად, რომელზეც მომდევნო წლებში ჩამოყალიბდება და შესაბამისად მომზადდება ორმხრივი შპალერული ფორმა. განაყოფიერების დროს დაბლარ ვენახში თითოეულ ძირზე შეიტანება. ამონიუმის გვარჯილა – 170-220 გრ; სუპერფოსფატი – 150-200გრ; კალიუმის მარილი 80-100გრ; ნაკელი, კომპოსტი და სხვა 15 კგ-მდე.

მწვანე ოპერაციებიდან აღსანიშნავია: ვაზის ფურჩქენა, ყლორტების წვეროების წაჩქმეტა, ნაშრეგების შეცვლა და ცის გახსნა. გაფურჩქენის დროს ხდება შტამბიდან გამოსული ყველა ზედმეტი ყლორტის მოცილება, წვეროების წაწყვეტა ტარდება ყვავილობის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე. სანაყოფე რქაზე ნაშრეგებს აცლიან ერთი ფოთლის დატოვებით, სამამულე რქაზე კი ყველა ზრდადასრულებული ფოთლის დატოვებით.



**აჭარაში გავრცელებული ვაზის
ზოგიერთი ჯიშის სახეობრივ
დახასიათება და მოვლა-
მოყვანის ტექნოლოგია**

**ს(ა)იპ აგროსერვისცენტრის
კონსულტანტი**

**ოთარ ქობალია –
ქ. ბათუმი 599 54 69 62**



**მისამართი: სპარტაქოლო, ბათუმი, 6010,
ი. გოგებაშვილის ქუჩა № 46^ა
გელ.: +995 (422) 27 96 02
www.agroc.ge
ტელეფონი: +995 599 89 89 50**



აჭარაში გავრცელებული ვაზის ზოგიერთი ჯიშის სამეურნეო დასასიამოებელი და მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

აჭარაში მევენახეობა ფართოდ იყო განვითარებული და ადგილობრივი ვაზის ჯიშთა რაოდენობა 80 ერთეულამდე აღწევდა. რეგიონში დღემდე შენარჩუნებულია სხვადასხვა სიმწიფისა და შეფერილობის მქონე საღვინე, სასუფრე-საღვინე და სასუფრე მიმართულების აბორიგენული და ინტროდუცირებული ვაზის 50-ზე მეტი ჯიშის, რომელთაგანაც ძირითადად აღსანიშნავია:



ბროლა - თეთლყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისი მტევნები მოგრძო, პატარა და ლამაზი მოყვანილობისაა, მარცვლები კი - მრგვალი, გამჭვირვალე და კამკამაა. სოკოვან დაავადებათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ავადდება ჭრაკითა და ნაცრით.

უხვმოსავლიანი ჯიშია, ყურძნის შეთავალვა იწყება სექტემბრის დამდეგს და მნიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში, მისი შაქრიანობა 19-23 პროცენტს უდრის.



მეკრენწიხი - ნითელ ყურძნიანი ენდემური ვაზის ჯიშია, ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით, ერთ რქაზე უმეტესად ორ მტევანს იკეთებს, ზოგჯერ სამსაც. ყურძენი შეთავალვას იწყებს სექტემბრის პირველ ნახევარში და სრულ სიმწიფეში შედის ნოემბრის პირველ ნახევარში. იძლევა უხვ და

ხარისხიან მოსავალს. მტევნის საშუალო წონა 180-200 გრამია, ცალკეულ შემთხვევაში 500 გრამამდე აღწევს, შაქრიანობა 18-21 პროცენტს შეადგენს. მეკრენწიხის ნაყოფი ტრანსპორტაბელრობით, საგემოვნო თვისებებით და შენახვის უნარით სავსებით აკმაყოფილებს სასუფრე ყურძენზე ნაყენებულ მოთხოვნას. ხეზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე საღად ინახავს თავს, ხოლო აკიდობზე კი გაზაფხულამდე ინარჩუნებს არომატს.



შოვნლილი - აჭარის ნითელ-ყურძნიანი ვაზის ჯიშია. იგი მაღლარის სახით გავრცელებულია ქედის რაიონის სოფლებში, ხასიათდება ინტენსიური ზრდით, ერთ რქაზე ზოგჯერ ორ მტევანს ივითარებს, შეთავალვას იწყებს აგვისტოს ბოლო

დეკადაში და მნიფდება ოქტომბრის ბოლოს. სხვა ჯიშებთან შედარებით გამძლეა სოკოვანი დაავადებებისადმი.



სანური - აჭარაში გავრცელებული ნითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია. იგი აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშებს შორის ყველაზე უფრო უხვმოსავლიანია და პექტარზე იძლევა 150-200 ცენტნერ ყურძენს. საკმაოდ საადრეო ჯიშია, შეთავალვას იწყებს ივლისის ბოლო დეკადაში, მნიფდება

სექტემბრის მეორე ნახევარში, აქვს მოგრძო მტევნები, რომელთა წონაც ზოგჯერ 500 გრამს აღწევს. სანური გამოიყენება ორდინარული ტიპის მასობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად, აგრეთვე ყურძნის წვენების წარმოებისათვის. შაქრიანობა 18-22%-ს აღწევს.



შავი ლივანურა - ნითელ-ყურძნიანი საღვინე-სასუფრე ვაზის ჯიშია. ის ცალკეულ წარგავებში მაღლარისა და დაბლარის სახით გვხვდება ქედის რაიონში. ლივანურას ყურძნიდან მოსახლეობა ამზადდება ღვინოს, ბეთმეზს, ასევე იყენებდნენ ყურძნად. იგი გამოირჩევა საკმაოდ

ძლიერი ზრდითა და უხვმოსავლიანობით. ერთი ძირი მაღლარი 70-150 კგ ყურძენს იძლევა. სიმწიფეს იწყებს აგვისტოს ბოლო დეკადაში და მნიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში, ერთ რქაზე ისხამს ორ მტევანს შაქრიანობა მნიფე ყურძენში 18-20%-ს შეადგენს.



მახათურა - ნითელ ყურძნიანი საღვინე-სასუფრე ჯიშია. მისი წარგავები (მაღლარი) გვხვდება ქობულეთის რაიონის სოფლებში. იგი ადრე ფართოდ იყო გავრცელებული აჭარის ზღვისპირა სოფლებში, მაგრამ ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ სუსტი გამძლეობის გამო შემცირდა მისი გავრცელების არეალი. მახათურა საშუალო მოსავლიანობისა და ზრდის ვაზის ჯიშია. ერთი ძირი მღლარი 50-100 კგ ყურძენს იძლევა. სიმწიფეს იწყებს სექტემბრის დასაწყისში და სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლოს. შაქრიანობა ყურძენში 18-20%-ს აღწევს.



ჭიპაკურა - ნითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. იგი უპირატესად ნარსულში დიდ პოპულარობით სარგებლობდა და საკმაოდ გავრცელებული ყოფილა აჭარის მთიანი ზონის სოფლებში. ამჟამად

მაღლარების სახით თითო-ორლა გვხვდება ქედის რაიონის სოფლებში. საადრეო ჯიშია, ყურძენი შეთავალვას იწყებს ივლისის ბოლოს და სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლო დეკადაში. ერთ რქაზე ძირითადად ორი მტევანი ვითარდება, ზოგჯერ სამიც. შაქრიანობა 18-22%-ს აღწევს.



ჩხავერი - ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიშია. გვხვდება ქედის რაიონის სოფლებში. იზრდება საშუალო ინტენსივობით, საგვიანოა, მნიფდება ნოემბრის მეორე ნახევარში, მტევნის საშუალო მასა 95-125 გრამია. საშუალო საექტარო მოსავლიანობა

55-80 ცენტნერს აღწევს. ჩხავერი მაღალხარისხოვანი საღვინე ჯიშია. ღვინო ღია ვარდისფერია, ზომიერად ალკოჰოლიანი, აქვს საუკეთესო საგემოვნო თვისებები. მას შამპანური ღვინოების დასამზადებლადაც იყენებენ.

ვაზის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

ვაზის გამრავლებას ძირითადად აწარმოებენ მცნობით, გადაწვევით და დაკალმებით. მათ შორის, მცნობით გამრავლება საშუალებას იძლევა მივიღოთ დაავადების გამძლე მაღალხარისხოვანი ნერგი. ვენახის გაშენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიადაგის თვისებები, ადგილმდებარეობა, დამოკიდებულება გარემო ფაქტორების მიმართ.

ვაზის გაშენებამდე ნიადაგი 5 თვით ადრე უნდა დაპლანტაჟდეს 70-90 სმ სიღრმემდე, სასურველია პლანტაჟი გაკეთდეს შემოდგომით, ხოლო ვენახი გაშენდეს გაზაფხულზე. პლანტაჟის წინ შეაქვთ ფოსფორიანი და კალიუმისა სასუქები, ნერგი ირგებდ ორმოში, რომლის სიღრმეა 40-45 სმ, სიგანე 30 სმ. თითოეულ ორმოში შეაქვით 5-6 კგ გადამწვარი ნაკელი ფხვიერი მინასთან შერევიით.

ნერგის მუდმივ ადგილზე დარგვისას ერთწლიანი ნამყენი ორ კვირტზე იჭრება, ცილდება და ზიანებული ფესვები, ხოლო ძირითადი ფესვები მოკლდება 10-15 სმ-მდე. გაზაფხულზე დარგვისას ნერგი 24 საათის განმავლობაში ღებდა წყალში.

ყურადღება უნდა მიექცეს ნერგის ორმოში ვერტიკალურად დაყენებას. ამავე დროს მცნობის ადგილი 2-3 სმ-ით მაღლა